ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: სოციოლოგია
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**სოციოლოგია** **Sociology**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**სოციოლოგიის დოქტორი** **PhD in Sociology**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	3-5 წელი (6-10 სემესტრი), 42 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელი	ემზარ ჯგერენაია, პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- პროგრამაზე მიიღებიან აპლიკანტები, რომლებსაც აქვთ მაგისტრის აკადემიური ხარისხი შემდეგ სფეროებში:
  - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (ეკონომიკა - 0311, პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312, ფსიქოლოგია - 0313, სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული - 0319)
  - მედიის კვლევები (0321.2.1)
  - ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას (0388)
  - სოციალური მუშაობა და კონსულტაცია (0923).
  - განათლების მეცნიერებები (0111), ინტერდისციპლინური, მოიცავს განათლებას (0188)
  - რელიგია და თეოლოგია (0221)
  - ფილოსოფია და ეთიკა (0223)
  - თავისუფალი მეცნიერებები (0288.1.1)
  - საჯარო მმართველობა (0413.1.3)
  - განათლების მენეჯმენტი (0413.2.6)
  - განათლების ადმინისტრირება (0413.2.18)
  - სოციალური კეთილდღეობა - არაკლასიფიცირებული (0929)

- ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი*;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება/კონცეფცია

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია დარგში გლობალური, რეგიონული და ლოკალური მასშტაბის თანამედროვე საზოგადოებრივი პროცესების კომპლექსურ შესწავლაზე. პროგრამა ეფუძნება უახლეს თეორიულ და მეთოდოლოგიურ ცოდნას და კვლევით გამოცდილებას. პროგრამა ფოკუსირებულია თეორიისა და კვლევის ინტეგრაციაზე.
საბჭოთა სისტემის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დაიწყო გრძელვადიანი, სირთულეებით სავსე სისტემური ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს გარემოება განსაკუთრებულ კონტექსტს ქმნის სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და ახალი ცოდნის წარმოებისთვის. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში, როგორც ტრანზიციულ საზოგადოებაში, მიმდინარე პროცესების სოციოლოგიურ შესწავლას მსგავსი გამოცდილების მქონე საზოგადოებებთან შედარების გზით.
პროგრამის კვლევის ძირითად არეალს წარმოადგენს: კულტურის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ძალაუფლების სოციოლოგია, გენდერის სოციოლოგია, ურბანული სოციოლოგია, საჯარო სივრცის სოციოლოგია, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციები, ტრანსფორმაციების სოციო-კულტურული განზომილებები, სოციალური შეჭიდულობა, სოციალური სტრატიფიკაცია, ეთნიკური და ეროვნული იდენტობები, წარსულის და მეხსიერების კვლევები;
პროგრამა ორიენტირებულია მკვლევრების ახალი თაობის მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ კლასიკური თუ თანამედროვე სოციალური თეორიების გამოყენებას ქართული საზოგადოების ამჟამინდელი მდგომარეობის “დიაგნოსტიკისა” და ანალიზისთვის.
პროგრამა მოწოდებული იქნება, შექმნას პლატფორმა მიმდინარე სოციალური პროცესების კონცეპტუალიზაციისთვის და კრიტიკული გააზრებისთვის. ემპირიული კვლევები შექმნის ახალ ცოდნას სოციოლოგიაში, რომელსაც ექნება როგორც სამეცნიერო, აგრეთვე გამოყენებითი მნიშვნელობა.
სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და დარგის წამყვან მეცნიერებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს დოქტორანტების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში (მენტორობა, თანახელმძღვანელობა), ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციის მიმართულებით დოქტორანტების კვლევითი შესაძლებლობების გაფართოვებას.

სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას (ბოხუმის უნივერსიტეტი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ფრანკფურტის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის უნივერსიტეტი, გოტინგენის უნივერსიტეტი). დარგში დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებისა და ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით პროგრამის ფარგლებში შექმნილია საერთაშორისო ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭო.

სოციოლოგიის საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს წარმოადგენენ:

- **პროფესორი იოხენ თოლენი**, ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია. კვლევითი მიმართულება: პოლიტიკის სოციოლოგია.
- **პროფესორი ალექსანდერ-კენეტ ნეგალი**, გოტინგენის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია. კვლევის ძირითადი სფეროები: კულტურის და რელიგიის სოციოლოგია.

- **პროფესორი ალექსი გუგუშვილი**, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ნეფილდის კოლეჯი, გაერთიანებული სამეფო. კვლევის ძირითადი სფეროები: სოციალური სტრატიფიკაცია, მობილობა, ეკონომიკის სოციოლოგია.
- **პროფესორიო ანა შთაიგემანნი** - რეგენსბურგის უნივერსიტეტი, გერმანია. კვლევის ძირითადი სფეროები: ურბანული სოციოლოგია, სივრცის სოციოლოგიური განზომილება.
- **პროფესორი მილდა ალისკაუსინე** - კაუნასის ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი, ლიტვა. კვლევის ძირითადი სფეროები: რელიგიის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია.

საბჭოს ჩართულობა პროგრამაში მოიცავს:

- კონსულტაციას პროგრამის კურიკულუმის განვითარების შესახებ;
- საერთაშორისო სოციოლოგთა სამეცნიერო ქსელებში დოქტორანტებისა და პროფესორების ჩართვის ხელშეწყობას;
- დოქტორანტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას;
- სოციოლოგიური კვლევის უახლესი მეთოდებისა და ტექნიკების მიმართულებით ვორქშოპებისა და ტრენინგების კურსების ხელშეწყობას;

სადოქტორო ნაშრომებზე და სამეცნიერო სტატიებზე მუშაობისას დოქტორანტების კონსულტირებას.

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტებს საშუალებას აძლევს, იყოლიონ უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და მოიპოვონ ორმაგი ხარისხი კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/EpjR6

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებია:

- მაღალკვალიფიციური მკვლევარების მომზადება, რომლებიც შეძლებენ უახლეს მეთოდოლოგიებზე და მყარ თეორიულ ჩარჩოზე დაფუძნებული ინოვაციური კვლევების განხორციელებას სოციოლოგიის ერთ-ერთ სფეროში (პოლიტიკის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, ურბანული სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია, ყოველდღიურობის სოციოლოგია, ღირებულებების კვლევები, იდენტობის კვლევები);
- კადრების მომზადება წარმატებული კარიერისთვის აკადემიურ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ;
- ცოდნის გაზიარება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის პუბლიკაციების მეშვეობით.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს:

1. აქვს უნარი კრიტიკულად გაანალიზოს და გამოიყენოს ფუნდამენტური და თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები და დებატები;
2. აქვს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებთან და კვლევის დიზაინთან დაკავშირებული სადოქტორო საფეხურის შესაბამისი ცოდნა, რომელსაც იყენებს ორიგინალური სოციოლოგიური კვლევის განსახორციელებლად;
3. აქვს სოციოლოგიის სფეროში განხორციელებული კვლევების კრიტიკული შეფასების უნარი;
4. შეუძლია კვლევის დაგეგმვა და განხორციელება სამეცნიერო კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
5. შეუძლია ახალი ცოდნის შექმნა და გაზიარება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების გზით;
6. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებულ აკადემიურ დისკუსიებში;
7. აქვს ცოდნის ტრანსფერის უნარი სააუდიტორიო სწავლების პროცესში, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

სწავლის მეთოდები

- ლექცია, სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- რეფლექსია;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია;
- სუპერვიზია და სხვა.

შენიშვნა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 42 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო - 18 კრედიტი და არჩევითი - 24 კრედიტი,) გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში)და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	სემესტრები										ECTS
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სავალდებულო კურსები/კომპონენტი - 18 კრედიტი											
თანამედროვე სოციოლოგიური თეორია და კვლევა											**6**
ასისტირება*											**6**
Writing for Academic Publication**											**6**
პროსპექტუსი											**-**
სადოქტორო კოლოკვიუმები											-
სადოქტორო ნაშრომი											-
არჩევითი კომპონენტი - 24 კრედიტი											
თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები და მათი გამოყენება NVivo-ში											6
დისკურსი: კრიტიკული ანალიზი											6
ცხოვრების მო-თხრობა სოციალური რეალობის გასაგებად - ბიოგრაფიულ-ნარატიული მეთოდი სოციალურ მეცნიერებაში											6
სტატისტიკური მოდელირება											6
ექსპერიმენტული კვლევა											3
რელიგია მოდერნულ და დიგიტალურ საზოგადოებაში - რელიგიის სოციოლოგიის აქტუალური საკითხები											6

პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაციის პოლიტ-ეკონომია											6
პოლიტიკის სოციოლოგია											6
ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო											6
ფიქრისა და კვლევის ანთროპოლოგიური მეთოდები											12
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში											6
Surroundings: Approaches, Insights, and Challenges of Environmental Anthropology											6
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი											12
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები											
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა											-
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება											-
გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება											-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება											-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები											-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე											-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი											-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში											-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით											-
სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი											
											სულ 42

** სწავლების ასისტირების წინაპირობაა „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში“/„პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC)“ ტრენინგი; კვლევის ასისტირების წინაპირობაა პროსპექტუსის დაცვა;*

***Writing for Academic Publication დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი*

****სადოქტორო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების, მათ შორის კოლოკვიუმის შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.*

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მეორე სემესტრიდან. მისი მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში).
დოქტორანტი კვლევის შედეგებს წარადგენს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

პროსპექტუსის მომზადების განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;

- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების და კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ **ორი სამეცნიერო სტატიისა,** მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

კვლევის ეთიკა

კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის მიზნით, დოქტორანტმა, მას შემდეგ რაც დაიცავს კვლევის გეგმას (პროსპექტუსს), თავისი კვლევის შესახებ ინფორმაცია (საკვლევი საკითხი და პრობლემა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა, დეტალური მეთოდოლოგია, მათ შორის მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტი, მონაცემების მოპოვების გზები და სხვ) უნდა გადაუგზავნოს ეთიკის კომისიას. დოქტორანტი კვლევის განხორციელებას იწყებს მხოლოდ ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში (იხ. დოკუმენტი ,,სოციოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული კვლევითი ნაშრომების/პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისია").

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადოქტორო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია).

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლებათ შესაბამისი პროფილის როგორც აკადემიურ, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებებში:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- არასამთავრობო ფონდები და ორგანიზაციები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- მედია (ტელე, რადიო, ციფრული);
- სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც გამოიყენება სოციოლოგიური კვლევები.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება.

„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა);
- სააუდიტორო/სამუშაო სივრცეები;
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- არგუსი, Elearning და Turnitin-ის სისტემები;
- SPSS; NVIVO;
- დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი;

- სოციალური და კულტურული კვლევების ინსტიტუტი;
- ღია წვდომაში არსებული მონაცემთა ელექტრონული ბაზები (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და სხვ.);
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

პროგრამის სემესტრული გეგმა						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი შემ/გაზ	
სავალდებულო კურსები/კომპონენტები (18 კრედიტი)						
თანამედროვე სოციოლოგიური თეორია და კვლევა	-	ანა კირვალიძე	32	6	x	
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში	-	სოფიკო ლობჟანიძე	32	6	x	**x**
ასისტირება	კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში/„პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC“ ტრენინგი	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდ.	6	**x**	x
Writing for Academic Publication	B2 ინგლისურის დონე	მაია როგავა	30	-	x	x
პროსპექტუსი			-	-		x
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი		ტრენინგ კურსის შესაბამისი ტუტორი	-	-	x	x

სადოქტორო კოლოკვიუმი		დოქტორანტის ხელმღვანელი/ები	-	-	X	x
სადოქტორო ნაშრომი					x	x
არჩევითი კომპონენტი (24 კრედიტი)						
თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები და მათი გამოყენება NVivo-ში		ანა კირვალიძე	32	6	**x**	**X**
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში		სოფიკო ლობჟანიძე				
დისკურსი: კრიტიკული ანალიზი		ნინო რჩეულიშვილი	30	6	**X**	
ცხოვრების მო-თხრობა სოციალური რეალობის გასაგებად - ბიოგრაფიულ-ნარატიული მეთოდი სოციალურ მეცნიერებაში		სოფო ზვიადაძე	30	6	**x**	**x**
რელიგია მოდერნულ და დიგიტალურ საზოგადოებაში	-	სოფიკო ზვიადაძე	30	6	**x**	**x**
პოლიტიკის სოციოლოგია	-	ემზარ ჯგერენაია	30	6	**x**	x
ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო	-	ლელა მენაბდიშვილი	32	6	x	**x**
პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაციის პოლიტ-ეკონომია	-	ლელა რეხვიაშვილი	30	6	**x**	x

სტატისტიკური მოდელირება	-	მამუკა ნადარეიშვილი	32	6	x	**x**
ფიქრისა და კვლევის ანთროპოლოგიური მეთოდები		თამთა ხალვაში	30	12		**x**
ექსპერიმენტული კვლევა		ნინო ჯავახიშვილი	15	3	**x**	**x**
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი	-	სადოქტორო საფეხურის სწავლებაში ჩართული მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი *	ინდივიდუალური	12	**x**	**x**
Surroundings: Approaches, Insights, and Challenges of Environmental Anthropology		სეზარ ენრიკე ხირალდო ჰერერა	48	6	**X**	

სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	ემზარ ჯგერენაია	პროფესორი	Emzar_jgerenaia@iliauni.edu.ge
2	ანა კირვალიძე	ასოცირებული პროფესორი	ana.kirvalidze@iliauni.edu.ge
3	სოფიკო ზვიადაძე	ასოცირებული პროფესორი	sopiko.zviadadze@iliauni.edu.ge
4	ნინო რჩეულიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	nrcheulishvili@iliauni.edu.ge

5	ლელა მენაბდიშვილი	მოწვეული პროფესორი	lelamen@gmail.com
6	ლელა რეხვიაშვილი	მოწვეული ლექტორი	l_rekhviashvili@leibniz-ifl.de
7	მამუკა ნადარეიშვილი	პროფესორი	mamuka.nadareishvili@iliauni.edu.ge
8	ლევან თარხნიშვილი	ასოცირებული პროფესორი	levan.tarkhnishvili@iliauni.edu.ge
9	გიგი თევზაძე	პროფესორი	gigi@iliauni.edu.ge
10	მაია არავიაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	maia.araviashvili@iliauni.edu.ge
11	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
12	სოფიკო ლობჟანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge
13	თამთა ხალვაში	პროფესორი	tamta.khalvashi@iliauni.edu.ge
14	ნინო ჯავახიშვილი	პროფესორი	Nino.javakhishvili3@iliauni.edu.ge
15	სეზარ ენრიკე ხირალდო ჰერერა	მოწვეული მასწავლებელი	cesgira@gmail.com